

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

"სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულების და დაღუპულთა ოჯახის წევრების სოციალური დაცვის აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია კანონპროექტით განსაზღვრულ პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით განსაზღვრულია მარტოხელა შრომისუნარო მშობლისათვის ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო სახელმწიფო კომპენსაციის/სტიპენდიის მიღების უფლებასთან ერთად ჰქონდეს უფლება მიიღოს ასევე სახელმწიფო კომპენსაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული შვილის გამო. ასევე განსაზღვრულია, რომ იმ მშობლებზე რომლის ოჯახიდან დაიღუპა ორი ან მეტი შვილი, ჰქონდეთ უფლება მიიღონ სახელმწიფო პენსია თითოეული დაღუპული შვილის გამო გათვალისწინებული ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო ასიგნებებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტების მიღება გავლენას არ იქონიებს საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო ასიგნებებს მარტოხელა მარჩენალდაკარგული პენსიონერისათვის შვილის დალუპვის გამო 99 000 ლარს, მშობლებისათვის, რომელთაც დალუპული ჰყავთ ორი ან მეტი შვილი თითოეულზე პენსიის გაცემის შემთხვევაში 30 360.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღებით გაუშვობესდება სოციალური დაცვა განსაზღვრულ პირთათვის. კერძოდ, მარტოხელა მარჩენალდაკარგული პენსიონერისათვის შვილის დალუპვის გამო და მშობლებისათვის, რომელთაც დალუპული ჰყავთ ორი ან მეტი შვილი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ აღგენს მის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ კანონპროექტი შესათანხმებლად წარდგენილი იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებში.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი საქართველოს პარლამენტის წევრები გიორგი წერეთელი და ოთარ თოიძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი საქართველოს პარლამენტის წევრები გიორგი წერეთელი და ოთარ თოიძე.